



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

16 იანვარი 2026



N 18/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში შპს „ჯი სი ჯი“-ს ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჯი სი ჯი“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის (ასფალტის წარმოება) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2016 წლის 30 დეკემბერს შპს „ჯი სი ჯი“-ს ასფალტის წარმოებაზე გაცემულია №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც 2019 წლის 21 ივნისს კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-581). 2019 წლის 7 აგვისტოს, აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე ასევე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-759), რომლის საფუძველზეც ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გზშ-ს არ დაექვემდებარა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ასფალტის საწარმოს წლიური წარმადობა 251 520 ტონას შეადგენს და იგი განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფელ მარტყოფში, ვაზიანის ტერიტორიაზე, შპს „ჯი სი ჯი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.10.28.591; ფართობი: 14265 მ²). ასფალტის საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტები: „BENNINGHOVEN“-ის (ECO-2000) კონტეინერული ტიპის ასფალტშემრევი დანადგარი, 5 ჩასატვირთი ბუნკერი (თითოეული – 12 მ³); „TT 8.20 E“ ტიპის საშრობი დოლი; მტვერშემკრები სისტემა (28.000 ნმ³/სთ); 6 ერთეული ბიტუმის ავზი (თითოეული – 50 ტონა); მინერალური ფხვნილის სილოსი (35 მ³); 3 ერთეული მზა ასფალტის შესანახი ბუნკერი (ჯამურად – 60 ტონა); დიზელის რეზერვუარი; 2 ერთეული სასმელ-სამეურნეო წყლის რეზერვუარი (თითოეული – 10 ტონა); სახანძრო წყლის რეზერვუარი; „Biotal“-ის ტიპის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარი; ნავთობდამჭერი; ინერტული მასალის სათავსი; საოპერატორო; სამორიგეო ჯიხური; საოფისე შენობა; სარემონტო შენობა; სატრანსფორმატორო; სასწორი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „ჯი სი ჯი“-ის მიერ გათვალისწინებულია არსებული ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, რაც გულისხმობს სამუშაო რეჟიმის ცვლილების ხარჯზე, ასფალტის საწარმოს წარმადობის გაზრდას, ასფალტის წარმოების ტექნოლოგიური სქემის დაზუსტებას, მინერალური ფხვნილის სილოსის დამატებას და ბიტუმის ავზების ჯამური მოცულობის გაზრდას. ამასთან, ვინაიდან ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით ასფალტის საწარმოს საშრობი დოლი მხოლოდ ბუნებრივ აირზე იფუნქციონირებს, არსებული დიზელის რეზერვუარი გაუქმდება. გარდა ზემოაღნიშნულისა ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით საწარმოს ტერიტორია გაფართოვდა და 81.10.28.591 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს დაემატა სამი მომიჯნავე მიწის ნაკვეთი (ს/კ: 81.10.28.593, 81.10.28.592, 81.10.28.623; ჯამური ფართობი: 17 207 მ²), რომლებიც გათვალისწინებულია ასფალტის წარმოებაში საჭირო ინერტული მასალის საწყობად. აგრეთვე საწარმოს ტერიტორიაზე დამატებით მოეწყო სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემი) გადამამუშავებელი ტექნოლოგიური ხაზი, შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით ასფალტის საწარმო წელიწადში 131 დღის ნაცვლად, 250 დღე, 9-საათიანი სამუშაო რეჟიმით იმუშავებს და მისი წლიური წარმადობა 251 520 ტონიდან 270 000 ტონამდე გაიზრდება. წარმადობის ცვლილებით, თავის მხრივ, გაიზრდება ასფალტის წარმოების პროცესში მოხმარებული ნედლეული და ბუნებრივი აირი. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ასფალტის საწარმოში იფუნქციონირებს 2 ერთეული (თითოეული – 35 მ³) მინერალური ფხვნილის სილოსი და 6 ერთეული (ჯამური მოცულობა – 350 მ³) ბიტუმის ავზი. რაც შეეხება ასფალტის წარმოების დაზუსტებულ ტექნოლოგიურ სქემას, ასფალტის საწარმოს დოზირების სისტემის გადავსების შემთხვევაში, ზედმეტი მასალა (სხვადასხვა ფრაქციის ქვიშა) ზედდოზირების მილის საშუალებით გადავა საწარმოს ძირში არსებულ კონტეინერში (GPS კოორდინატებია: X-503347; Y-4615670), დროებით განთავსდება ინერტული მასალის საწყობში და შემდგომ გამოყენებული იქნება ასფალტის დასამზადებლად. რაც შეეხება ასფალტის საწარმოს ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემი) გადამამუშავებელ ტექნოლოგიურ ხაზს (GPS კოორდინატებია: X-503390 Y-4615701), მისი სამუშაო რეჟიმი წელიწადში 300 დღეს, დღეში 8 საათს შეადგენს და წელიწადში 48 000 მ³ ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით გადამამუშავებას უზრუნველყოფს. მიღებული პროდუქციის გამოყენება გათვალისწინებულია ასფალტის წარმოების პროცესში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ასფალტის საწარმოს გაფართოებული ტერიტორიის (ს/კ: 81.10.28.593, 81.10.28.592, 81.10.28.623, 81.10.28.591; ჯამური ფართობი: 31 472 მ²) საკადასტრო საზღვრის სიახლოვეს გადის უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მშრალი ხევი, დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს უახლოესი საცხოვრებელი სახლი, ხოლო 500-მეტრიან რადიუსში ფიქსირდება შპს „სატურნი 2006“-ის ნავთობპროდუქტების საცავი და შპს „ბილდკინგს“-ის ასფალტის საწარმო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ასფალტის საწარმოს წყლით მომარაგება ხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით, რისთვისაც ობიექტზე განთავსებულია 2 რეზერვუარი (თითოეული 10 ტონა). ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი ტექნოლოგიური ხაზისთვის (ქვიშა-ხრემის დასანამად) საჭირო ტექნიკური დანიშნულების წყლის დასაგროვებლად მოწყობილია 5-ტონიანი რეზერვუარი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ასფალტის საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის ცვლილებას, არ უკავშირდება. რაც შეეხება საწარმოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტებით და შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლის მართვას, ნავთობპროდუქტებით და შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლის წარმოქმნა მოსალოდნელია ასფალტის საწარმოს საოპერაციო მოედანზე და პარკინგზე (ს/კ: 81.10.28.591), ხოლო საწარმოს დარჩენილ ტერიტორიაზე (ს/კ: 81.10.28.593, 81.10.28.592, 81.10.28.623) საწარმოო პროცესი არ მიმდინარეობს და პირობითად სუფთა სანიაღვრე წყლები სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემით ბუნებრივად იქნება დრენირებული გრუნტში. 81.10.28.591 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე წარმოქმნილი ნავთობპროდუქტებით და შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული სანიაღვრე წყალი გაივლის „Biotal“-ის სეპარატორს, საიდანაც გაწმენდის შემდგომ ჩაშვებული იქნება მიმდებარედ გამავალ ხევში (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X-503276 Y-4615628). გაწმენდილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნება: შეწონილი ნაწილაკები – 30 მგ/ლ; ნავთობპროდუქტები – 3 მგ/ლ.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, აზოტის დიოქსიდის, ნახშირბადის ოქსიდის, ნაჯერი ნახშირწყალბადების (C₁₂-C₁₉), მყარი ნაწილაკების, ასევე არაორგანული მტვრის წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაბნევის გაანგარიშებაში გათვალისწინებულია 500-მეტრიან რადიუსში არსებული ობიექტებიდან მოსალოდნელი გაფრქვევები. მიღებული შედეგებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია, კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, როგორც უახლოეს მოსახლესთან, ისე 500-მეტრიან ნორმირებულ საზღვარზე, კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს არ აჭარბებს.

სკრინინგის განცხადებაში, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების მოდელირება, რომელიც შესრულებულია კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით. მიღებული შედეგებით უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე 45.2 დბა-ს შეადგენს და საკონტროლო წერტილში კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს არ აჭარბებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების მართვა გათვალისწინებულია „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი მოწყობილია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში შპს „ჯი სი ჯი“-ს ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზშ-ის ანგარიშის წარდგენას არ საჭიროებს.**
2. შპს „ჯი სი ჯი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 21 ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-581) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით.
3. შპს „ჯი სი ჯი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით უზრუნველყოს:
 - ა) განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება;
 - ბ) განახლებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება;
 - გ) განახლებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება
 - დ) განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება.
4. შპს „ჯი სი ჯი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის ეტაპზე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით უზრუნველყოს:
 - ა) სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესრულება;
 - ბ) სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა;
 - გ) სააგენტოსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესრულება;
 - დ) სააგენტოსთან შეთანხმებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესრულება.
5. შპს „ჯი სი ჯი“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 21 ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-581) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა.
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯი სი ჯი“-ს.
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯი სი ჯი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/18-21-4-202601161754>

